



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1405
26/07/2018

ქალაქი ბათუმი

1405-05-4-201807261739



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის - სპეციალური აპლიკაციის Smart Time-ს მეშვეობით კონტროლის/მონიტორინგის განხორციელების მიზნით პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის - სპეციალური აპლიკაციის Smart Time-ს მეშვეობით კონტროლის/მონიტორინგის განხორციელების მიზნით პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის ხელმძღვანელებს, თავიანთ სამუშაო კომპიუტერში დაინსტალირებული თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვის - სპეციალური აპლიკაციის Smart Time -ს მეშვეობით უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების - სამუშაოს დაწყებისა და დასრულების შესახებ, დაგვიანებისა და ადრე წასვლის თაობაზე, ყოველი კვირის მომდევნო ორშაბათს, გასული კვირის მონაცემების, მოხსენებითი ბარათის სახით მირზა ბახტაძეზე - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელზე მიწოდება.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელმა მირზა ბახტაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, განახორციელოს კონტროლისა და მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის (სამსახურებში დასაქმებულ თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების შესახებ), ანალიზის მომზადება და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიისათვის წარდგენა.

4. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა